ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 73
(გამარტივებული შესყიდვა CPV 50300000)

ქ. ფოთი "14" ივნისი 2013 წელი

ერთის მხრივ,

**ს.ს.ი.პ.„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური" ს/კ 215082764.**

**მისამართი:** ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.

**საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს „საქართველოს ბანკი". ბ/კ BAGAGE22; ა/ა GE42BG0000000118341800

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ; ბანკის კოდი: UGEBGE22; ა/ა: GE74VT5500000003643408

**დირექტორი:** რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

**ი/მ "თენგიზ წულაია" ს/კ** 62001025730

**მისამართი:** ქ. ფოთი კოსტავას ქ. № 3. ტელ: 595 355 275

ელ. ფოსტა: d.Londaridze@gmail.com.

**საბანკო რეკვიზიტი:** სს „საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი: BAGAGE22; ა/ა: GE34BG0000000892697600.

(შემდგომში "მიმწოდებელი") დავდეთ ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს " გაუწიოს "შემსყიდველს" 1 ცალ კომპიუტერულ ტექნიკაზე მომსახურება კერძოდ შეუკეთოს 1 ცალი პრინტერი HP 1010.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 50.00 (ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი) ლარი.

## 3.მომსახურების მიწოდების ვადები

3.1 შესყიდული მომსახურების მიწოდება, უნდა განხორციელდეს 2013 წლის 28 ივნისის ჩათვლით

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით (ავანსი არ გამოიყენება).

4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების ღირებულების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტების:

- საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები;
- მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ეროვნულ ვალუტა – ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

### 7 მხარეების პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 % (ორ) პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი"–სთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

### 9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

9.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

### 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

### 11. სხვა პირობები

11.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–

დირექტორი: რევაზ ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან:

ი/მ თენგიზ წულაია: თენგიზ წულაია